ასეთი თამაშით წარმატებას ვერ მოვიპოვებთ

საკავშირო კატეგორიის მსაჯის ე. საარის (ტალინი) ფინალური სასტვენის შემდეგ ანგარიშის აღმრიცხველ კოშკურებზე ეწერა 3:0.

ასე დამთავრდა 1 მაისის მატჩი თბილისის "დინამოსა" და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდებს შორის, რომელსაც დიდი ინტერესით ელოდნენ ფეხბურთის მოყვარულები: გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

საფეხბურთო ტურნირი ყოველთვის აღსავსეა მოულოდნელობებით, გაუმართლებელი პროგნოზებით, შემთხვევითობით, არც ერთი გუნდი არაა გარანტირებული მარცხისაგან. რა თქმა უნდა, არ შეიძლება გუნდს ყოველ მატჩში მოსთხოვო 2 ქულა, ისიც ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში, მაგრამ ის, რაც თბილისის "დინამოს" გულშემატკივრებმა იხილეს 1 მაისის მატჩში, მათ უფლებას აძლევს სამართლიანი პრეტენზიები წაუყენონ გუნდს.

დინამოელები ერთნაირად ცუდად თამაშობდნენ პირველ წუთზე, როცა ანგარიში იყო 0:0, და 89–ე წუთზეც, როცა მოსკოველებს აქტივში 3 ბურთი ჰქონდათ, ხოლო მათ კვლავ 0. მართალია, წვიმიანი, ტალახიანი გრუნტი დიდად უშლიდა ხელს თამაშს, მაგრამ არმიელებმა კარგად გაითვალისწინეს ეს და თამაში წარმართეს გრძელი, მაღალი გადაცემებით, მთელი გუნდი მობილიზებული იყო შეუპოვარი ბრძოლისათვის. ყოველი მოთამაშე იბრძოდა ძალების დაუზოგავად, კოლექტიურად. დაშვებული თუნდაც სულ მცირე შეცდომა დაუყოვნებლივ სწორდებოდა ან თვით შეცდომის დამშვები მოთამაშის, ან მისი პარტნიორის მიერ. განუწყვეტელ მოქმედებაში იყო თავდასხმის ხუთეული, სრული დატვირთვით მუშაობდნენ ნახევარმცველები და მცველები.

სულ სხვა სურათს წარმოადგენდა დინამოელთა თამაში. მატჩის დასაწყისში გუნდი ცოტა ხანს მოქმედებდა გეგმის მიხედვით, შემდგომში კი, როცა თბილისელები სიძნელეებს წააწყდნენ, გეგმიდან არ დარჩა ნატამალიც კი. ყოველგვარ კანონზომიერებას მოკლებული იყო ნახევარდაცვის თამაში. არც მახარაძე, არც დავარაშვილი მჭიდროდ არ იჭერდა მოწინააღმდეგეს და არმიელთა შუამარბები ემიშევი და ვანზელი ფაქტიურად უმეთვალყუროდ იყვნენ მიტოვებული. განსაკუთრებით უსუსური იყო დავარაშვილი. მატჩმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ცენტრალური მცველის როლში მეტად სუსტია რუსაძე. იგი ხშირად უშვებს როგორც ტაქტიკურ, ისე ტექნიკურ შეცდომებს.

არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ მოსკოველთა კარისათვის "დინამოს" თავდამსხმელები. 90 წუთის მანძილზე მათ ფაქტიურად ერთხელ შექმნეს კრიტიკული მომენტი, როცა კ. გაგნიძემ სულ ახლო მანძილიდან სუსტად მიუგორა ბურთი მეკარეს. უნდა აღინიშნოს, რომ გაგნიძემ ბოლო ხანებში ძლიერ დაუკლო თამაშის კლასს და ტრაფარეტულად მოქმედებს.

ეს დამარცხება ფრიად მრავალმეტყველია. თუ "დინამოს" ფეხბურთელები ყოველი სიძნელის წინაშე ასე უნებისყოფოდ დაუშვებენ ხელებს, ასე გულგრილად შეხვდებიან ყოველ გატანილ ბურთს თავის კარში, ძალების მაქსიმალური, უკიდურესი დაძაბვით არ იბრძოლებენ გამარჯვებისათვის – განმეორდება გასული წლის სურათი.

წინაა საპასუხისმგებლო შეხვედრები როგორც საკუთარ მოედანზე, ისე მოსკოვში, ლენინგრადში, სტალინოში… თბილისის "დინამო" თვითკმაყოფილებას არ უნდა მიეცეს რამდენიმე საწვრთნელი მატჩის მოგებით. თამაში და ბრძოლა

საჭიროა ოფიციალურ, კალენდარულ შეხვედრებში და არა ამხანაგურ შეხვედრებში შავი ზღვის სანაპიროზე.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 4 მაისი, 1955 წ.